

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ინ-სი თაუერი სარჩევი

- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
- მოგება-ზარალის ანგარიში
- სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
- კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

- ორგანიზაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა



შპს ინ-სი თაუერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს შპს ინ-სი თაუერის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 01 ოქტომბერი.

დირექტორი
2022 წ. 01 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ირაკლი ტოგონიძე



ფინანსური ანგარიშგებები

შპს ინ-სი თაუერი ს/კ 405043484

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

აქტივი	შენიშვნა	2021	2020	2019
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები		60,010	282,048	156,524
მოკლევადიანი მოთხოვნები		33,900	31,431	97,935
სასაქონლო მატერიალური მარაგი		11,379,209	10,762,343	9,621,796
წინასწარ გადახდილი გადასახადები				28,722
სხვა მოკლევადიანი აქტივები		345,422	661,266	1,162,550
საგადასახადო აქტივი				
სულ მიმდინარე აქტივები		<u>11,818,541</u>	<u>11,737,088</u>	<u>11,067,527</u>
ძირითადი საშუალებები		4,052,043	4,085,988	4,041,748
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>4,052,043</u>	<u>4,085,988</u>	<u>4,041,748</u>
სულ აქტივები		<u>15,870,584</u>	<u>15,823,076</u>	<u>15,109,275</u>
პასივი				
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები		269,822	231,253	122,597
მოკლევადიანი სესხები		3,406,299	3,885,088	3,253,674
საგადასახადო ვალდებულება		119,183	292,224	288,373
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>3,795,304</u>	<u>4,408,566</u>	<u>3,664,643</u>
კაპიტალი				
საწესდები კაპიტალი		1,746,130	1,611,701	1,943,703
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი		10, 329,150	9,802,810	9,500,929
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი				
სულ კაპიტალი		<u>12,075,280</u>	<u>11,414,511</u>	<u>11,444,632</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<u>15,870,584</u>	<u>15,823,076</u>	<u>15,109,275</u>

დირექტორი



ირაკლი ტოგონიძე



შპს ინ-სი თაუერი ს/კ 405043484


მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	2020	მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	2021
თანხა	თანხა	თანხა	თანხა
შემოსავალი რელიზაციიდან რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება	1.331.281 (267.022)	შემოსავალი რელიზაციიდან რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება	1,039,262 (120172)
საერთო მოგება	1,064,259	საერთო მოგება	919.090
სხვა შემოსავალი	26,397	სხვა შემოსავალი	
სულ შემოსავლები	1,090,656	სულ შემოსავლები	1,039,262
ხარჯები		ხარჯები	
არასაოპერაციო ზარალი	-33,125	არასაოპერაციო ზარალი	-0
არასაოპერაციო ხარჯები	-13,700	არასაოპერაციო ხარჯები	-0
გაზი და წყალი	-2,737	გაზი და წყალი	-0
დადებითი საურსო სხვაობები	0	დასუფთავება	-0
ელექტროენერგიის ხარჯები	-8,217	ელექტროენერგიის ხარჯები	-1,413
კურსთა შორის სხვაობა	0	კურსთა შორის სხვაობა	-0,00 -2,187
პირდაპირი ხელფასი	-57,182	საბანკო ხარჯები (კონვერტაციისა)	
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	-4,056	საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	-462
საბაჟოზე გაწეული ექსპორტის ხარჯები	-400	საბაჟოზე გაწეული ექსპორტის ხარჯები	-0,
საიჯარო ქირა	-11,441	ქონების გადასახადი	-6,296
საკანცელარიო ხარჯები	-31	საკანცელარიო ხარჯები	-914
საკონსულტაციო ხარჯები	-32,373	საკონსულტაციო ხარჯები	-0
საპროცენტო ხარჯები	-292,323	საპროცენტო ხარჯები	-311,606 ✓
სოციალ. დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე	-1,055	სოციალ. დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე	-1,647
სოციალური დანარიცხები	-3,568		
სხვა საერთო ხარჯი	-17,688	სხვა საერთო ხარჯი	-290
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-213	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-0,00
უარყოფითი საურსო სხვაობები	-26,397	უარყოფითი საურსო სხვაობები	-14,469
შემოსავალი რეალიზაციიდან შრომის ანაზღაურება	0 -197,909	შრომის ანაზღაურება	-137,544 ✓

ცვეთა და ამორტიზაცია	-32,750	ცვეთა და ამორტიზაცია	-36,094 ✓
სხვა ხარჯები	-53,611		
სულ ხარჯები	-788,775	სულ ხარჯები	-512,922
მოგება დაბეგვრამდე	301881	მოგება დაბეგვრამდე	526,340
მოგების გადასახადი		მოგების გადასახადი	0
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან	301,881	წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან	526,340

დირექტორი



ირაკლი ტოგონიძე



შპს ინ-სი თაუერი ს/კ 405043484

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

საოპერაციო საქმიანობა	2021 წელი	2020 წელი
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1,348,677	1,503,713
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები	(1,507,148)	(2,009,603)
	(158,471)	(505,890)
საფინანსო საქმიანობა		
მიღებული სესხები	0,00	1,005,078
გადახდილი სესხები	(513,296)	(373,663)
	(513,296)	631414
საინვესტიციო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები		
მიღებული დივიდენდები		
	0	0
არასაოპერაციო საქმიანობა		
არასაოპერაციო შემოსავლები		
	0	0

ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	(671.766)	125,524
------------------------------------	-----------	---------

დირექტორი



ირაკლი ტუგონიძე




შპს ინ-სი თაუერი ს/კ 405043484

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	1,943,703		1,451,063	11,444,632
ამონაგები საწესდებო კაპიტალი გადახდილი დივიდენდები	-332,002		1301,881	301,881 -1332,002
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	1,611,701	-	301,881	11,414,511
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	1,746,130	134,429	526,340	12,075.280

დირექტორი



ირაკლი ტოგონიძე



განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზოგადი ნაწილი

შპს ინ-სი თაუერი, როგორც სამეწარმეო სუბიექტი და კერძო სამართლის იურიდიული პირი, სამეწარმეო რეგისტრირებულია 15 მაისი 2014წ, და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 405043484 .

პარტნიორები

1. 50% წილის მფლობელია: 01006002193 თამარ ცერცვაძე.
2. 50% წილის მფლობელია: 01008000151 ირაკლი აბულაძე

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო სამუშაოების წარმოება;

სააღრიცხვო პრინციპები დ მეთოდები

შპს ინ-სი თაუერი, აწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად (ორმხრიობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციის, შესაბამისობის) პრინციპებს. სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს სტანდარტებით დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. კომპანია განეკუთვნება მე-3 ზომით კატეგორიას. უფლებამოსილია და იყენებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც ვალდებულია შეადგინოს ფინანსურ ანგარიშგება (ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დაუროთოს განმარტებითი შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა. ფინანსური ანგარიშგება გამიზნულია მომხმარებელთა ფართო წრისთვის.

შპს ინ-სი თაუერი ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“-ის გამოყენებით.

მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკიდან და საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდის ცალკეული დეტალი (წესები, ხერხები, ფორმები, პრაქტიკა) საჭიროებს განმარტებას. კერძოდ:

1. ხელფასის გაცემა ხდება ელექტრონულად, სს „ბანკის“ მეშვეობით;

2. ნაღდი ფულით ანგარიშსწორება არ წარმოებს;
3. ყოველწლიურად, წლის დასაწყისში, დირექტორის ბრძანებით ინიშნებიან ანგარიშვალდებული პირები, რომელთაც ეკისრებათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა;
4. საწარმო აწარმოებს საანგარიშსწორებო ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის შესრულების დღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით. ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც ეს ოპერაცია პირველად კლასიფიცირდება აღიარებისათვის, რაც ნიშნავს, რომ აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი გადაეცემა სუბიექტს.
5. მოთხოვნები და ვალდებულებები აღირიცხება ცალკეული ობიექტების მიხედვით და იმ თანხით, რომლის გადახდაც უწევს საწარმოს. ამავე ღირებულებით (ანუ პირვანდელი ღირებულებით) ასახულია ის ანგარიშგებაში;
6. შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აქტივად აღიარდება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დადგმასთან დაკავშირებულ დანახარჯებს;
7. აქტივები შეფასებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დადგმასთან, ექსპლოატაციაში შეყვანასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. აქტივების მოძრაობა, დღიდან მიღებისა, აისახება აქტივების მოძრაობის უწყისეში;
8. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება დარიცხვის წრფივი მეთოდით. ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ასახულია ნარჩენი ღირებულებით;
9. მიმწოდებლებთან საქონლის მიღება და საანგარიშსწორებო ურთიერთობა ხორციელდება ხელშეკრულებების საფუძველზე. შესაბამისი ინფორმაცია (რიგითი N, ხელშეკრ. N, მიმწოდებლის დასახელება, ვადები, შესყიდვის კოდები, თანხები) აისახება რეესტრში;
10. სახარჯი მასალა, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა ხდება მოთხოვნის საფუძველზე, შესყიდული საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით ბარდება ბრძანებით დანიშნულ პასუხისმგებელ პირს, რომელსაც მიჰყავს გაცემის აღრიცხვა და წარმოადგენს ყოველთვიურ ანგარიშს;
11. ყოველი წლის ბოლოს, ანგარიშგების შედგენამდე, ტარდება საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია დირექტორის ბრძანების დაფუძველზე. ინვენტარიზაციის შედეგები რეგულირდება დადგენილი წესების თანახმად;



საგადასახადო ვალდებულებები

12. საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში შპს ინ-სი თაუერი მთლიანად ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისთვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც მოქმედებაშია შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

12.1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად დღგ-ს ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ კი საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც საჭიროა სარეალიზაციო საქონლის შექმნისათვის, ჩამოყალიბებისა და სარეალიზაციოდ მომზადებისათვის, გამოიყენება ან გამოყენებული იქნება დასაბეგრ ოპერაციებში. ხოლო იმ შემთხვევაში კი, საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც სარეალიზაციო საქონელს საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს, შეუძლებელია გაიმიჯნოს გამოიყენებოდა თუ არა დასაბეგრ ოპერაციებში, ვსარგებლობთ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის 174-ე მუხლის მეექვსე ნაწილით. კერძოდ, თუ საქონელი ან მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:

ა) დღგ-ის ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით;

ბ) ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით.

დირექტორი



ირაკლი ტოგონიძე

